

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995. NN 27-30) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

მუხლი 1. მე-3 თავის, 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 22. ეროვნული ბანკის კაპიტალი

1. ეროვნული ბანკის განცხადებული სანესდებო კაპიტალი შეადგენს 40.000.000 (ორმოცი მილიონი) ლარს. მასში ცვლილებების შეტანა შეიძლება ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგენის საფუძველზე პარლამენტის გადამწყვეტილებით. სანესდებო კაპიტალის მთელი ეს თანხა არ ექვემდებარება გადაცემას და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის სახით.

2. ეროვნული ბანკის სანესდებო კაპიტალი იქმნება გადაფასების რეზერვებში გადარიცხვების შემდეგ დარჩენილი წმინდა შემოსავლიდან 25 პროცენტის ანარიცხების ხარჯზე. ამასთან, ანარიცხები სანესდებო კაპიტალში წყდება მისი მოცულობის დადგენილ ოდენობამდე მიღწევისთანავე. (23.10.2001 N1114 საკანონმდებლო მაცნე N 32)."

მუხლი 2. გაუქმდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ორგანული

კანონის (23.10.2001 #1114 საკანონმდებლო მაცნე #32) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს
მ. სააკაშვილი

პრეზიდენტი